

# ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №4 2023 წლის 8 თებერვალი

ქ. ვანი

**„ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

### **მუხლი 1**

„ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №30 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 23.12.2022 წელი, 010250020.35.121.016472) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

**1. დადგენილების მე-3 მუხლით დამტკიცებული „სამედიცინო დახმარების პროგრამის“ (დანართი №3) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„6. დახმარების მიღების აუცილებელი პირობა:

სავალდებულოა ბენეფიციარი დახმარების მოთხოვნამდე ბოლო 180 (ას ოთხმოცი) დღის განმავლობაში უწყვეტად იყოს რეგისტრირებული ვანის მუნიციპალიტეტში.“.

**2. დადგენილების მე-3 მუხლით დამტკიცებული „სამედიცინო დახმარების პროგრამის“ (დანართი №3) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„7. დახმარების მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტები:

ა) მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულმა დახმარების მოთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველთა ერთიანი ბაზიდან, ფორმა №100 და ანგარიშ-ფაქტურა სამედიცინო დაწესებულებიდან;

ბ) მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულმა დახმარების მოთხოვნელმა მერის წარმომადგენელს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში განცხადებასთან ერთად უნდა წარუდგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ფორმა №100 და ანგარიშ-ფაქტურა სამედიცინო დაწესებულებიდან;

გ) სამსახურს უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტები.“.

**3. დადგენილების მე-4 მუხლით დამტკიცებული „ქრონიკული დაავადებების მქონე პირთა დახმარების პროგრამის“ (დანართი №4) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„6. დახმარების მიღების აუცილებელი პირობა:

სავალდებულოა ბენეფიციარი დაფინანსების მოთხოვნამდე ბოლო 180 (ას ოთხმოცი) დღის განმავლობაში და პროგრამით სარგებლობის მთელი პერიოდის მანძილზე უწყვეტად იყოს რეგისტრირებული ვანის მუნიციპალიტეტში.“

**4. დადგენილების მე-4 მუხლით დამტკიცებული „ქრონიკული დაავადებების მქონე პირთა დახმარების პროგრამის“ (დანართი №4) მე-7 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.**

**5. დადგენილების მე-9 მუხლით დამტკიცებული „ვეტერანთა დახმარების პროგრამის“ (დანართი №9) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**



„5. დახმარების მიღების აუცილებელი პირობა:

სავალდებულოა დახმარების მიმღები პირი დაფინანსების მოთხოვნამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში უწყვეტად იყოს რეგისტრირებული და ფაქტობრივად ცხოვრობდეს ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.“.

## **მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ვანის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე ლილუაშვილი

